



ნახ. მ. აკხმეტელაშვილი

— ჰაი, დედასა, რა იქნენ კომბინატორები? არ
შეშვამა ამ ინტელიგენტმა, ვაჟულა ხუთი კაკიკი
დამიკელიო?!

დირექტორი ბიულეტენზე იყო, ამიტომ ადგილობრის თავმჯდომარე იპოლიტე ლუღუშაური დირექტორის მოადგილემ გამოიძახა და ჰკითხა:

— რა ვუყოთ, კაცო, ამ სანდრო გაჩეჩილაძეს? არ დავსაჯოთ? ამ ბოლო დროს ერთთავად ურევს.

— დასჯის მეთოდამდე ჯერ აღზრდის, დარწმუნების მეთოდი ვიხმაროთ. — თქვა იპოლიტემ.

— იმეორებდეთ...

რამდენიმე დღეში ეს სცენა განმეორდა.

— რა ვუყოთ, კაცო, ამ სანდრო გაჩეჩილაძეს? — შეუბრუნა კითხვა ადგილობრის თავმჯდომარემ რამდენიმე დღის შემდეგ დირექტორის მოადგილეს.

— ახლა მე მეკითხები მაგას? — ნიშნის მოგებით ჰკითხა პარმენმა.

— დროსტარებას მუშაობა ჯობიაო, მაგას თქვენი კი არა, ბაბუაჩემი რომ ადგეს საფლავიდან, ის ვერ დამარწმუნებდა... — ასე ბრძანა.

— მე მგონი, ახლა კი დროა, დავსაჯოთ, რას იტყვით?

— ჯერ ზეპირად მივეთითოთ. — კვლავ შემოიტანა წინადადება ადგილობრის თავმჯდომარემ.

სანდრო გაჩეჩილაძეს მიუთითეს. ერთ დღეს კადრების განყოფილების გამგე მინალორა ხარიტონოვმა გულწასული შეიტანეს დირექტორის მოადგილესთან — გაჩეჩილაძემ უცნაურ სიტყვებით მომართაო. გაჩეჩილაძემ ბრალდება ადგილზევე უარყო: „აბა გაიმეოროს რა ვუთხარი ასეთით?“

როცა მინალორა ხარიტონოვმა გონს მოიყვანეს და უთხრეს „გაიმეორე რა ვითხარა“, მას ორი იმდენი შედეგამენტები დასჭირდა ხელმეორედ მოსაბრუნებლად.

— რა ვუყოთ, კაცო, ამ სანდრო გაჩეჩილაძეს? — იკითხა სასოწარკვეთილმა დირექტორის მოადგილემ.

— დაწერეთ ბრძანება მოხსნის შესახებ! — ურჩია იპოლიტემ.

— ეჰ, ჩემო პარმენ, მოხსნა რომ ასე ადვილი იყოს, რა გვიჭირს, მიეცით შენიშვნა.

პირადად მდივანმა ბრძანების ასლი სანდრო გაჩეჩილაძეს გააცნო. ამ უკანასკნელმა ის უკანასკნელი სულ უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა (აგინა დედანი და მამანი), ის ასლი თავზე გადააფხრიჭა და დედანიც მოითხოვა.

— ახლა რაღა ვუყოთ ამ სანდრო გაჩეჩილაძეს! — ჰკითხა დირექტორის მოადგილემ ლუღუშაურს, — არ მოგხსნათ?

— ნუ აჩქარდებით, პატივცემულო პარმენ! მე მგონი, დადგა დრო გამოვეცხადოთ საყვედური ბრძანებით!

გამოუცხადეს, ერთი კვირა არ გამოცხადდა: „მრცხვენოდა და თავს გარეთ ვერ ვუფდო“.

— რა ვუყოთ, კაცო... — მერამდენედ წამოიწყო დირექტორის მოადგილემ.

— ერთ წელიწადში თუ მთლად არ გაგიჟდა, მექანიკურად მოიხსნება.

— მაღლობა ღმერთს, — წამოხტა სკამიდან დირექტორის მოადგილე.

— რა გავგებართო?... — ექვით იკითხა ლუღუშაურმა.

— რას ჰქვია რა გამეხარდა, ახლა არ სთქვი მოიხსნებაო?

— საყვედური მოიხსნება, ბატონო, და არა მუშაკი. — თქვა ლუღუშაურმა.

— არ გადამრიო, — შეიცხადა დირექტორის მოადგილემ.

— ნუ გეშინიათ, პატივცემულო პარმენ, საყვედურმა თუ არ გასჭრა, სასტიკი საყვედური გამოვეცხადოთ.

გამოუცხადეს სასტიკი საყვედური. გაჩეჩილაძემ დაწესებულების ინვენტარი დაღუწა და სიგიჟე მოიგონა.

— რა ვუყოთ, კაცო, ამ, ამ... — აყუფდა კაცი. ლუღუშაურმა შეხედა, რომ პარმენს ადამიანის ფერი არ ედო, ამიტომ შორიდან აღარ დაუწყია, პირდაპირ აჯახა:

— ამის შემდეგ მოდის სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

— გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით! — აღმართა ხელი დირექტორის მოადგილემ.

სანდრო გაჩეჩილაძეს ამჯერად სიგიჟე აღარ მოუგონებია, აიღო და პირდაპირ გაგიჟდა, რაც პირველად იმაში გამოიხატა, რომ სტაცა ხელი ბრძანებების წიგნს და ინკვიზიტორივით დასწვა.

— მოიხსნას! — ძალის საზომი დაზგასავით დაახალა საწერ მაგიდას მუშტი დირექტორის მოადგილემ.

— ასე ერთი ხელის დაკვრით ვერ მოგხსნით, პატივცემულო პარმენ! — ფრთხილად გაიმეორა გაზეპირებული ფრაზა ადგილობრის თავმჯდომარემ.

— აბა, რა ვუყოთ?

— სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით აქვს, სასტიკი საყვედური აქვს, საყვედური აქვს, შენიშვნა აქვს, გაფრთხილება აქვს, მითითება აქვს. — იტაცა თავზე ხელი დირექტორის მოადგილემ, მერე ადგა, მდივანი-მემანქანე იხმო თავისი საბეჭდი მანქანიდან, თითოთი ანიშნა, მოემზადე ბეჭდვისათვისო და დაეწყო:

— დასწერეთ ბრძანება № 13. „რადგან ადმინისტრაციული სასჯელის ყველა ზომა ამოწურულია და პირად საქმეში სასჯელის დასაღები ადგილი აღარ დარჩა, სანდრო ვამეხის ძე გაჩეჩილაძეს გამოეცხადოს დიდი ბოდიში ძველი საყვედურებისათვის და სასტიკი მაღლობა უკანასკნელი მოფრებებით“.

წარმოთქვა რა ეს სიტყვები პათეტიკურად, რაღაც საეჭვოდ გაიღიმა და მთელი სიცოცხლე ამ პოზაში დარჩა, ვერაფრით ვერ მოიშორა სახიდან ეს იდიოტური ლიმილი.

გ. ლაშინაი



— ეს აღამიანები გამაგიჟებენ, თუ ასე დი-
ნყვებდნენ თმების მოშვებას, მაშინ რა საჭირო
იყო ევოლუცია?!



— არ შეცდე, შვილო, მოხუცი არ გეგონოს
და ადგილი არ დაუთმო, ჰიპია!

გეოგრაფიკული დასახელება

თბილისის ერთ-ერთი გარეუბნის მრავალ-სართულიან, იზოლირებულ ბინაში მცხოვრებმა ფეხბურთის გულშემოტიკარმა ანდრო ჩრდი-ლელმა ტელევიზორი ბუზღუნით გამორთო... თავისიანებს გუნებაში შეუკურთხა, საწერ მაგი-დას მიუჯდა და მარცხენა ხელით წერას შეუდგა... არ იფიქროთ, რომ ცაცია იყო: უბრალოდ, ფიზ-კულტურის კომიტეტის სახელზე კრიტიკით აღსავსე ანონიმურ წერილს აცხობდა...

ამ დროს კარზე ვიღაცამ მორიდებით დააკა-კუნა. „ნეტა, ვინ ოხერია?“ — წაიბურტყუნა ანდრომ. ჩუმი, შემპარავი ნაბიჯით კარში ჩას-მულ საიდუმლო სათვალთვალის მიუახლოვდა, სუნთქვაშეკრულმა ჭუჭრუტანიდან ქურდულად გახედა და მოულოდნელობისაგან ადგილზე გახევდა: იქიდან შავთვალწარბა, ოდნავ ფერ-მერთალი, საოცარი სილამაზის ასული მოჩანდა...

— მადლობა ღმერთს, რომ შინ დამხვდით! ცხელი წყალი თუ მოდის თქვენს აბაზანაში? — სეტყვასავით დაყარა უცნობმა ლამაზმანმა...

— მოდის! — გააჟრჟოლა ანდროს და ქალი შინ შეიყვანა.

ქალმა გაწეწილი დალაღები გაისწორა, მღოვრისფერი ხელთათმანი გაიძრო, ხელჩანთა გახსნა, ანდროს თვალებში გამომწვევად ჩაა-შტერდა და წარმოთქვა:

— ხომ გამოგიჭირე, ვაჟბატონო?! ექვს თვეში ექვსჯერ გაგაფრთხილეს, ტელეფონითაც გაუწყეს, მაგრამ თქვენი დაპირება დაპირებად დარჩა. გახსოვდეთ, ჩვენთან ურჩობა არ გაგივათ! — თქვა ქალმა და პისტოლეტი ამოიღო.

— ვისთანა მაქვს პატივი?! — წაიკანავლა დამფრთხალმა ანდრომ.

— ნუ ჩქარობთ, მალე ყველაფერს შეი-ტყობთ!

ანდრომ სახეზე, რის ვაივაგალხით, გამო-სახა ღიმილის მსგავსი რაღაც და ხმის კანკალით ძლივს ამოთქვა: — ეს რა ხუმრობაა?..

— რისი ხუმრობა, ვაჟბატონო! საკმარისია, ჩახმახს თითი გამოვკრა, რომ თქვენ გვამად გადაიქცევით.

„კოჭებზე ეტყობა, პირწავარდნილი ბანდი-ტია. არ დამინდობს, ნამდვილად მომკლავს“, — გაიგო გუნებაში ანდრომ და კედელზე ობლად დაკიდებულ ლენონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ ასლს ნაღვლიანად შეავლო თვალი...

— ჩქარა, დრო აღარ ითმენს! ფული, თორემ გაგათავე!

ანდრო მუხლებზე დაემხო და მუდარით წარმოსთქვა: ნუ მომკლავ და ყველაფერი წაიღე!

— სად ინახავ? — გაისმა ქალის ამაზრუნეი ხმა.

— ბებიაჩემის მუთაქაში, — ამოთქვა ანდ-რომ, აკანკალებული ხელი ტახტზე დადებული მუთაქისკენ გაიშვირა და მწარე გმინვა აღმოჩნდა.

კეკლუცმა ბანოვანმა მუთაქიდან ფულის დასტა გამოიღო, მხოლოდ სამი თუმანი მოაკლო, ჰაერში შემართულ ბავშვის სათამაშო პისტო-ლეტთან ერთად ფული ჯიბეში ჩაიღო და დამცი-ნავი ღიმილით წარმოსთქვა:

— მეორე კვარტალი მთავრდება, წამოზრ-ძანდით ჩემთან, ვაჟბატონო! მე თქვენი ახალი სახლმმართველი გახლავარ, ექვსი თვის ბინის ქირის გადახდის ქვითარს გამოგიწერთ! მომა-ვალში აღარ გაბედოთ მსგავსი უმსგავსობა, დროზე შეიტანეთ ბინის ქირა, თორემ ურჩი მობინადრეების მიმართ ახალი დეტექტური მეთოდები მაქვს შემუშავებული!

ძვირფასო მობინადრეებო! ხომ არ დაგავი-წყდათ, შეიტანოთ ბინის ქირა?!

თენგიზ ჰირველი

ვინ ამოკრევს წყალს?

დედამიწის ნახევარზე მე-ტი დაფარულია ოკეანეებითა და ზღვებით, რომ არაფერი ვთქვათ მდინარეებზე, ნაკადუ-ლებსა და წყაროებზე. ადა-მიანიც სწორედ იქ სახლდება, სადაც წყალია, რადგან უწყ-ლოდ ცხოვრება ისევე არ შეიძ-ლება, როგორც უმწეოდ და უმიწოდ.


ალბათ ჩვენი წინაპრებიც მორეულ წარსულში, სოხუმში იმიტომ დასახლდნენ, რომ აქ იყო ზღვა და წყაროს წყლები. ზღვა ისევე იქ არის, მაგრამ ადგილებია, სადაც სასმელი წყალი სანატრელია ისევე, როგორც საპარაში. მკითხვე-ლო, თუ მოგვცემთ იმის პი-რობას, რომ ეს ყველაფერი ჩვენი არ დარჩება და საქ-ვეყნოდ ილაპარაკებთ, მისამა-რთსაც გეტყვით: მატარაძის ქუჩა № 33-ში და ძიგუას ჩიხ-

ში მომწყვდეულები უწყლოდ იხრჩობიან ამ წყლით სავსე, მადლიან ქვეყანაში. 1967 წლიდან მათი ონკანებიდან წყალი არავის უნახავს გამო-სული. მილგაყვანილობა იმ-დენად გადაგვარდა, რომ მისი აღდგენა ყოვლად შეუძლებე-ლია.

თავისთავად იბადება კით-ხვა: ვინ ამოკრევს წყალს? სა-ჭიროა თუ არა თანამედროვე ცივილიზებულ ოჯახს ჰქონდეს სასმელი წყალი? ამ შეკითხვა-ზე, დარწმუნებული ვართ, ყვე-ლას გაეცინება და, მისდა უნე-ბლივდ, წამოიძახებს: რა თქმა უნდა!

— ჰოდა, ჩვენც მანდა ვართ! საინტერესოა, ვისაც უშუა-ლოდ ეხება ამ საქმის მოგვარე-ბა, ის რას ფიქრობს?

შანი სიხარულით



— შემოდით, გიძიებო, ოღონდ ამ სიტყვაში ასე გაგანჯვრული დაღიხარო და უფასოდ გაგაკრავო!

- ალა, ალა! ადუთაიჭა?
 - დღეს,
 - ვაჭარ-ჭარა! რედაქტორის დავალებით ვრეკავ. გვიგეძელ
 ადუთის მამათაღი სანდუკიდან, ანდერკარდს კუჩარს, თუ
 ნუგაბი, ანდერკარდს, ანდერკარდს, ანდერკარდს, ანდერკარდს,
 - შიშხიანო, ბაგორო,
 - კი, კი! თუ შენ?
 - ბაგორო!
 - ვიწერ, ადუთაის მამათაღი გახლებულით, როგორც გა-
 ტორი შენაღი,
 - ბიძა არ უყვალთ, რომ მოგმხარბოლით?
 - მყალბ, მაგრამ ვერ შეგხარბობლით,
 - ახ, როგორ გიხარბობლით ისტორიებში?
 - გიხარბობ ცხოველებში ერთი ღმრსმა,
 - შენგა?
 - გვიგეძელ სულ ღო-იაშ.

— ალო, გისწენთ!... არა, ზატონო, ეს აფთიაქია, მექისგ არ
ტუშა აქ არავინ არ არის.
— ვა, აფთიაქია? რა კარგია! ასი გრამი „სალიცილა“ მი-
ნდა!
— „სალიცილას“, ტომატისათვის კი არა, წიმაღლად რაში
გინდოდეს, ვერ იშოვის!..
— ბუ, ბუ, ბუ...

— მხოლოდ ამ მხრივ ამას-მანამტებით ხარამდე.
მაგრამ ვინ არ ვარ დაყვანილი?
— რომელიმე მხრივ დაყვანილი ხარო უფროსი.
— მაშინ დამკარგებდნენ.
— ჩივირს გავიციე ეს?
— მაშინ ვარ დამკარგებული უფროსი.
შე ვიციხე, უფროსად ვიყო ჩემი დაყვანილი, მაინც
ყოფილიყო. უნდა ვიყო დაყვანილი, ატეხი უნდა სცდე, თორემ
— რა ვიცი რა ვიცი რა ვიცი.
— თუ გვიცხად და ვიპოვებ, მაგვიტყვიან, რა შენთან?
— შენც გახდებოდა სკანდინავი, არ გვიჩინო, ეს რომ
მე პოინტინა, ამ წყობით?
— რა, უფროსი უფროსი აღარ იქნება?
— ჩივირს მიახლო.
— ანა, პირიქით, შე პოინტინა.

— ალო, გისმენთ!
— ღიპა, აფთოპი, ღიპა.
— ბაშა! ბაშა! არა, იოლი არა, ფურცლის რქე არა. სტრე
პტოცოდს და ვალიდოლს მივიღებთ ორზამათს. მღოვავს სა
ფუნს ზუთზამათს, ნიკაფურის სპირიტს პარასკევს. შამათს ფ
კვირას დასვენება გეძალს. იმ კვირაში გვექნება ნისტატინი!
— ბუ. ბუ. ბუ...

— აჲლო, მამუნო!
— ბოქლოში ჩვევთან არ იყიდება, რაო, რაო? არაფერი თ...
არა გვაქვს, ბოქლოში დაჯდომით და დავეყრტო აფთიაქი? სა...
დაა ლეგეკ. თუ არაფერი არა გვაქვს, ბოქლოში რაღა საჭი...
რია მამუნო. ვინ ხართ თქვენ, ან საიდან რეკავთ ასე თავებდენ...
რაღა?
— მე ვარ თავებელი?
— ბუ, ბუ, ბუ...

— აი, ბატონო კორესპონდენტო, ასეთ დღეში ვარ ყოველ
დღე ამ გაგანია სიცხეში.
— არა უშავს, ზევც ასე ვართ!
— დღი შელავითია ჩემთვის.
— და ბოლოს, ერთი ტრადიციული შეკითხვა: ზომ არ გიმ
ძიძი აეთიპიის მმართველის პოსტზე დგომა?
— ხალხი რომ ამ მიმართის ხელს, ძალიან ადვილია.

მიუხედავად მოუცლელობისა, ლაპარაკში შემთხვევით ჩერეთ, ინტერვიუ მოისმინა და სიტყვა-სიტყვით ჩაწერა

სიკრძაბე საღმრთოთაჲსი.


— *ჩვენ იცოდნენ, რომ ეს უნდა მოხდეს, თუმცა ჩვენ ვერ გავრეგულირებდით.*



பெரியபுத்தூர் கருணாநிதி

იქი ფებს არ იცვლიდა მოსაცდელიდან გარეთ კი ალუბა ჰყავდა
ან ამ ხეებს რა მოგვითხვამათ, კონსერვატორები არიან, როგორც შარშან
შობოტი შარშანწინ, აპრილში მხოლოდ ჰყავიან.

გიგა მახვილამ




ნაბ. ჯ. ლოლუასი

33030060205,
33551360201!

ნ. ბ. შირცხალაშვილი



— ხომ არ იმე სად ასაფლავებენ ალისტარახუს?



— როდემდე იქნება ეს გზა გაუპოვებელი?
— სანამ ვინმე არ „გაპოვდება“.

მიკვირს და გამკვირვებია საწუთრო სახენაცვალი.
ზოგაბთის მკვიდრი დედაა, ზოგისთვის —
დედინაცვალი.
ერთს დააბერტყავს წყალობას, ყელამდე ჩასვამს
პატივში.
მეორეს კუნჭულს არ მისცემს ამაქვეყნიურს
ნადიმში.

აგერ, გარეწარს რომ ხედავთ, გაბღენილია ფიტული.
დედის საშოდან ებოძა ყველა ღირსება, ტიტული.
სადაც აკურთხეს, გამოსრა ქვეყნის ფუძე და ძირია,
თავს ისევ ისე ლაღად გრძნობს, ღმერთმანი,
გასაკვირია!

ჩია კაცუნა, ჭივჭავი, ფერმის გამგეა, რა დიდის,
მანეთად, სულით მღაბალი, მთელს საქართველოს
გაყიდის.
ან რაში ებიტნავენა ქვეყნის ჭირი და ვარამი?
აიგო ოქროს გალია, სააგარაკოდ — კარავი!

ამბობენ: ტუზი ბიძა ჰყავს, ბუზს ვერ აუფრენს
ვერავენ,
ომახიანად ჭიხვინებს მისი ოჩანი მერანი...
ვინც ბილწ-მრუშობით, სიშავით, ზნეობის საზღვარს
გაშორდა.
არ იშვას მისი ნაგრამი ქართველი დედის საშოდან!

სულს გამინათლებს იმედით მამაპაპური ანდჷა,
ავისა მჭმნელო, შესდექი, ყური მომაყარ ანაზღად!
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“
თუ მოგაყუჩეს ორმოში, თავის დაძვრენა ძნელია!..

ლევან მილორაძე

თქვენ რომ ფრიადოსანი გყავთ,
პატივცემულო,
ჩემი შვილიშვილი, ქეთინო ვაძაკიძე,
ის რომ თქვენთან მაგარ ხუთიანებს
ლებულობს,
სახლში ორი ქალი ვმუშაობთ ამ საკითხზე!
სწავლის ძირი რომ მწარეა, ეს გვაქვს
შეგნებული,
ისიც ვიცით, მეტი არავის მოუვა ცოდნა...
ნუ მაყურებინებთ ბნელ კუთხეში
მიგდებული
ცხრამნეთიანი მტირალა თოჯინის ცოდვას!
ჩემი შვილიშვილის კლასის ხელმძღვანელო,
პატივცემულო ელო,
მე უკაცრავად კი ვარ თქვენთან, მაგრამა,
ძალიან დიდი გაქვთ პროგრამა!

ლალ მარტაშვილი

სულ დადიოდა ფეხის წვერებზე,
ჯერ მთვარე ღათმო,
დათმო მერე მზე,
რომ შერჩენოდა თანამდებობას!..
მას მანქანა აქვს, სკამი აქვს რბილი,
მომგებიანი და მეტად თბილი.
ამას უცინის, დაუბღერს იმას,
აწონ-დაწონის მსხვილსა
თუ წვრილმანს,
რომ არ ეწყინოთ უფროსთაგანებს,
რომ თავის დროზე მათ სცეს თავყვანი,
ადიდოს მათი ფუძე-აკვანი!
„საჭირო კაცებს“ თავზე ევლება,
ხელქვეითებს კი სიქას აცლის.
სკამი გათალა კაცის ხელებმა,
ამ სკამმა როგორ შეცვალა კაცი?!

ნიკოლოზ ჩაჩავა

დიბადა, გაიზმორა, მიმოავლო არეს თვალი:
გარეშემო ბიბინებდა ღვთებრივი ყვავილნარი...
მაგრამ თვალი აარიდა ყვავილთ ტურფა გამოხედვას,
მეგობრებდა აირჩია ჭინჭარი და აწული მყარლი.
გულში მკვიდრად ჩაიბეჭდა ბებერ აწლის
ღარიგება:
„არ დაინდო შენს მყარლ გზაზე შვილიც, თუ წინ
დაგიდგება!“
სასიცოცხლო სიბრძნედ ექცა იდეები ნათხოვარი,
გაზულუქდა გაფხვობა უნიჭო და მათხოვარი!
სუყველასგან ქრთამს იღებდა, ვინც მორჩილად
უწოდებდა,
ამის შემდეგ თავს ბაღარის მოამაგეს
უწოდებდა.
მაგრამ, ერთხელ ყველაფრისთვის, ერთ გაზეთის
სვეტში ჩასვეს,
არაფერი აპატიეს, არ დაინდეს, ძელზე გასვეს...
მაგრამ ნახეთ სასწაული: არ დაწყვიტეს გული
თაღლით —
დაბლით უნდა დაეწიათ და ასწიეს მაინც მაღლით!

მორალი:

ამნაირი მფარველობის ფასი მართლაც კაპიკია,
სანამ უნდა იყოს ასე, გერაფერი გამოიგია!

გეჟან ჯაფარიძე



1. ტელეფონ-ავტომატმა ჭიტას სამჯერ ჩაუყლაბა ორკაბიანი და მეოთხედ, როგორც იქნა, დაუკავშირდა ჭუტას.

რამდენი კაცი დაუჭდა ჭიტას ჭუტასთან დალაპარაკება
და, გაიხსენებდა თუ არა იმას, რა უნდა ეთქვა?

2. ღვინის მამამ რომ ღვინის დედა მიიტოვა და, სახლიდან წავიდა, ღვინა სამი წლისა იყო. თოხი წლის წოწილის შემდეგ ღვინის მამა სახლში დარცხენილი დაბრუნდა.

რამდენი წლისა დახვდებოდა ლეინჩას მამას ლეინჩა და იცნობდა თუ არა ლეინჩა მამას?

3. ბაქის მამა თვეში 90 შახტო ხელფასს იღებს და ბაქის დედას სახარჯოდ 500 მანეთს აძლევს.

რამდენი მანეთით მეტს აძლევს, ყოველთფიურად, ბაქის
მამა ბაქის დედას სახარჯოდ და საიდან?

4. გადაწყიდევლმა გლენისაგან ერთი ტომარა ვაშლი კილო ერთ მანეთობაზე იყიდა, მერე იქვე, ბაზარში შებრუნდა და მთელი ვაშლი, კილო ორ მანეთობაზე, გაყიდა.

რამდენ მანეთად ყიდდა გადამყიდველი სინდისს, თუ ტომარაში ათი კილო ვაშლი იყო და თანაც შოგებულის ნახევარი მისი მფარველი ანგელოზისათვის უნდა ეწილადებინა?

5. მშენებლებმა სახლი გეგმით გათვალისწინებული 12 თვის ნაცვლად, 12 კვირაში ააშენეს, რისთვისაც გარდამავალი დროშაც დაისაკუთრეს და პრემიაც გაიწილეს.

რამდენი თვით აღრე დამთავრეს მშენებლებმა მშენებლობა და რამდენი დაუჯდებოდათ მოზინადრეებს ასეთი ნაგებობის საცხოვრებელ ბინებად გადაკეთება?

6. ბანოდან გამოსვლისას მეგარდერობებს ერთმა 1 მანეთი წაუტეა, მეორემ — 20 კაპიკი. რომელს მტტი უჩუქებია მეგარდერობესათვის, თუ პირველს კიდევ 49 კაპიკი დარჩა, ხოლო მეორეს — აღარაფერი და სახლში ფეხით წავიდა?

მირიან ლეჟავა



— გრივმა შენს ქმარს არაფერი დაუტოვა.
— ეჰ! ვინ მოგვცა მამის გედი! გრივს კი არა.
გაგუამისს არაფერი დაუტოვებია ჩვენთვის.

მონაწილეები

— ალო, 07-ია, საქალაქთა-
მორისო?

— არა, სახანძროა!

— ალო, 03-ია, სასწრაფო?

— არა, მილიციაა!

— ალო, დაზიანების ბიურო?

— არა, კაცო, მე სატელეფო-
ნო ქსელის უფროსი ვარ!

— ბოდიში, ბატონო!

შ. შამიერაძე

ჟ. ჟამნიკაძე

ნაკ. 9. ფოტოგრაფიები



— ღვინო რამდენი მოგაერთვას, ბავშვებო? —
— მესუბუჟალ რომ დავიჭრათ ერთმანეთი. იმდენი!


მეცნიერებათა
N2
მთავარი რედაქტორი
საქმეა

ප්‍රඥාපිටක

N^o 651

შეშორება

100



მეცნიერებათა
N2
მთავარი რედაქტორი
საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემიის

1972

თითქმის ორი საუკუნეა, რაც ესპანეთსა და ინგლისს შორის მიმდინარეობს გიბრალტარის შესახებ დავა

ნახ. ბ. ლომიძისა



გიბრალტარის საკითხის განმარტება